პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 3 (4513)

1972 წ. 5 იანვარი, ოთხშაბათი

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ჩემპიონებს — ჯილდოები

გაიმართა ლანჩხუთის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული აქტივის კრება.

კრება გახსნა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრალიძემ, რომელმაც მოხსენებისთვის — „რაიონში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" — სიტყვა მისცა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ბ. მთისწრაფიშვილს.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რაიონში საგრძნობლად იმატა ახალგაზრდობის დაინტერესებამ ფიზკულტურითა და სპორტით, ამაღლდა სპორტულ მიღწევათა დონე, გაუმჯობესდა კადრების კვალიფიკაცია, გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა რიცხვი. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის გზებზეც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ქვემო აკეთის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ზ. მათითაიშვილმა, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ი. ებრალიძემ, ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ა. გოგუაძემ, ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ხოფერიამ, საქართველოს ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანმა თ. გუგუნავამ, ნიგვზიანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბებერაშვილმა, ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა ვ. ძიძიგურმა, კულტურის სახლის დირექტორმა ვ. წულაძემ, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ვ. გოგრიჭიანმა.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. ბაქანიძემ „გურიის" ფეხბურთელთა გუნდს და მის წევრებს, რომლებმაც რესპუბლიკის ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავეს, გადასცა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშა, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ფიზკულტურული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი დ. საბაშვილი.

აქტივმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ი. ებრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.



როგორც ჩვენი გაზეთის 28 დეკემბრის ნომერში ვიტყობინებოდით, რიგაში 4 დედაქალაქის მატჩში მოსპარეზე ადგილობრივმა ძალოსანმა გ. ივანჩენკომ (საშუალო წონა) ბრწყინვალე შედეგს მიაღწია: 185,5 კგ აჰკრა და კილოგრამნახევრით გააუმჯობესა ასევე საბჭოთა ათლეტის ფ. ნანიევის მსოფლიო რეკორდი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონს გ. ივანჩენკოს.

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

გაზეთი
იყო... $19^{45}$

◆ დაკარი, 4 იანვარი. აფრიკის ჩემპიონები გახდნენ სენეგალელი კალათბურთელები, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის გუნდს — 61:54 (38:29). ორივე კოლექტივმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს მიუნხენის ოლიმპიადაში.

### კასაია ისევ პირველია

როგორც ცნობილია, ყოველი წლის ბოლოსა და იანვრის პირველ რიცხვებში ტარდება „მფრინავ მოთხილამურეთა" ტრადიციული შეჯიბრება — „ოთხი ტრამპლინის ტურნე". ინსბრუკსა (ავსტრია) და გარმიშ-პარტენკირხენში (გფრ) გაიმართა ორი ეტაპი, რომლის შემდეგ დაწინაურდა იაპონელი ი. კასაია. იგი წარმატებით გამოვიდა ობერსდორფშიც (გფრ), სადაც ყველას აჯობა და ჯამში 736 ქულა დააგროვა. კასაია ამ შეჯიბრებაში გამარჯვების ყველაზე ნაღდი კანდიდატია. საბჭოთა სპორტსმენთაგან ობერსდორფში ყველაზე საუკეთესო — გ. ნაპალკოვი მხოლოდ მერვე იყო.

◆ ოსლო, 4 იანვარი. ცნობილი ნორვეგიელი მოთხილამურე ქალი მ. მერდრე-ლამედალი გამარჯვებული გამოვიდა 5 კილომეტრზე საერთაშორისო რბოლაში. მისი შედეგია 15.23. პრიზიორთა სამეულში შევიდა 2 დასავლეთგერმანელი სპორტსმენი — ი. როტსუსი — 15.29 და მ. ენდლერი — 15.30.

◆ ჰელსინკი, 4 იანვარი. ქალაქ რუკატურტურში გამართულ შეჯიბრებაში 15-კილომეტრიანი რბოლა მოიგო 32 წლის ო. კარიალაინენმა — 43.46. მსოფლიო ჩემპიონი 50 კილომეტრზე რბოლაში კ. ოიკარაინენი მხოლოდ მეოთხე იყო — 44.27, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ე. მიანტიურანტამ ვერ დაამთავრა დისტანცია. ქალთა შორის 5 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო მ. კაიოსმაამ — 19.05.

◆ ფრუნზე, 4 იანვარი. ყირგიზეთის 1971 წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელი მოიხვეჭა 28 წლის მძლეოსანმა ო. ბარჩმა. იგი სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატია და ხალხთა V სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში.

## ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

### უნგრელ სპორტსმენთა ნადავლი

1971 წელს უნგრეთის სპორტსმენებმა 10 მსოფლიო და 26 ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 116 მედალი — ასეთია მათი მოსავალი საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ტ. კლამპარი და ი. იონერი (მაგიდის ჩოგბურთი), ჩ. ჰეგედიუში (კლასიკური ჭიდაობა), ტ. ვიხმანი (ერთადგილიანი კანოე. ამ უკანასკნელმა დ. პეტრიკოვიჩთან ერთად ჩემპიონობა მოიპოვა ორადგილიან კანოეშიც), მ. ხეში, ჩ. გიჩი, ი. საბო და გ. ჩაპო (ესტაფეტა ბაიდარებით), შ. ჰოლცრაიტერი (ძალოსნობა), დ. კულჩარი, პ. შმიტი, შ. ერდეში, ჩ. ფენვეში (დაშნით მოფარიკავეთა გუნდი).

ბუდაპეშტი.

### 100-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენებთან

— გდრ-ის გერმანულ სპორტულ-ტანვარჯიშულ კავშირს ამჟამად მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებთან აქვს ურთიერთობა, — განუცხადა გაზეთ „შპორტ-ეხო"-ს მუშაკებს კავშირის პრეზიდენტმა მ. ევალდმა.

1971 წელს კავშირის მუშაობაში მთავარი ყურადღება ეთმობოდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

მ. ევალდმა აღნიშნა, რომ კავშირის წევრთა რიცხვი კიდევ გაიზარდა. ამჟამად იგი 2215 ათას კაცს აერთიანებს.

ბერლინი.

კარლ-მარქს-შტადტი. მსოფლიოს ორგზისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს გაბი ზაიფერტს თავისი უზადო ოსტატობითა და საოცარი გრაციით ბევრჯერ მოუხიბლავს ფიგურული ციგურაობის მრავალრიცხოვანი მოყვარულნი. მაგრამ ამ შესანიშნავმა ფიგურისტმა ძალიან დაწყვიტა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს გული აქტიური სპორტიდან ნაადრევი წასვლით. 23 წლის გაბიმ, რომელიც 15 წლის განმავლობაში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს საციგურაოებზე, ამპლუა შეიცვალა: მწვრთნელი გახდა. ეს იყო მისი ოცნება და ნატვრაც შესრულდა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ გ. ზაიფერტს მწვრთნელის როლში.

ცენტრალბილდის (გდრ) ფოტო.



## სტუდენტთა წარმატება

ქუთაისში თითქმის ორ თვეს გასტანა ლენინური კომკავშირის იუბილესადმი მიძღვნილმა მე-15 საქალაქო სპარტაკიადამ, რომელშიც ცხრა სპორტული საზოგადოებისა და უწყების 1600-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში სპორტის 22 სახეობა შედიოდა.

I ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად „განთიადსა" და „სპარტაკს" შორის გაჩაღდა. საბოლოოდ „სპარტაკმა" 202 ქულა დააგროვა და 11 ქულით გაუსწრო მთავარ მეტოქეს. წინა სპარტაკიადის ჩემპიონი „განთიადი" II ადგილს დასჯერდა.

სპარტაკელებმა პირველობა არავის დაუთმეს კალათბურთში (ვაჟები), ძალოსნობაში, სასტენდო სროლასა და ჭიდაობა სამბოში. მათ, აგრეთვე, ერთი II და ექვსი III საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. „განთიადი" უძლიერესი იყო სპორტის ოთხ სახეობაში — კრივში, მძლეოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობასა და ცურვაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის სტუდენტი-სპორტსმენები. მომავალმა ინჟინრებმა სპორტის რვა სახეობაში მეორე ადგილები დაიკავეს, სამ სახეობაში კი მესამე იყვნენ. ეს ახალი სპორტული კოლექტივისთვის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრებს მეტი შევსება

თბილისში გაიმართა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი, რომელმაც მოისმინა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბ. ბაჟანოვის მოხსენება: „საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში „განთიადის“ სპორტსმენების მონაწილეობის შედეგები და XX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „განთიადის“ ორგანიზაციებში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ინტენსიური მზადება 1970 წელს გაჩაღდა. მთავარი ყურადღება მაღალკვალიფიციური სპორტსმენების გამოვლენას ეთმობოდა, რისთვისაც საზოგადოების რესპუბლიკური სპარტაკიადა ორ ეტაპად გაიმართა. შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები 700 კოლექტივში მოეწყო. ორივე ეტაპის შეჯიბრებებში 200 ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ასპარეზობებში 22 კაცმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის, 42-მა — სპორტის ოსტატობის კანდიდატის, 200-მდე სპორტსმენმა კი პირველი თანრიგის ნორმატივი.

ადგილებზე სპარტაკიადების დამაკმაყოფილებლად გამართვამ ცენტრალურ საბჭოს საშუალება მისცა ნაკრები ძლიერი სპორტსმენებით დაეკომპლექტებინა და საქართველოს სპარტაკიადაში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდების პარალელურ ჩათვლაში საერთო II ადგილი დაესაკუთრებინა.

განთიადელებმა რესპუბლიკის ნაკრებს, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩაება, სათანადო შევსება მისცეს და წინა სპარტაკიადასთან შედარებით უკეთესი შედეგებიც მოიპოვეს. თუ 1967 წლის საკავშირო სპარტაკიადაში „განთიადი“ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პარალელურ ჩათვლაში XI ადგილზე იყო, წლეულს რესპუბლიკების ანალოგიურ საბჭოებს შორის იგი IV ადგილზე გავიდა. „განთიადის“ სპორტსმენებმა წინა სპარტაკიადაში 5 მედალი (1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოსი) მოიხვეჭეს, წლეულს — 19 (9 ოქროსი, 5 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი), IV სპარტაკიადაში 8 უძლიერესს შორის 13 განთიადელი სპორტსმენი მოხვდა, V სპარტაკიადაში კი ჩასათვლელი ქულები რესპუბლიკას მათმა 43 წარმომადგენელმა შესძინა.

ითქვა, რომ ეს წარმატებები მოზარდებთან მუშაობის სათანადო დონემ განაპირობა; სსრ კავშირის სპარტაკიადის პროგრამით მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში მოზარდთა ტურნირებში საქართველოს ნაკრების წევრების მიერ დაგროვილი 127 ქულიდან 50,5 განთიადელებმა მოიხვეჭეს.

ბაჟანოვმა „განთიადის“ სხვა წარმატებებზეც ილაპარაკა, კერძოდ მან აღნიშნა, რომ საზოგადოების სპორტსმენებმა წლეულს 11 თვის მანძილზე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში 36 პირველი, 23 მეორე და 21 მესამე ადგილი დაიკავეს, 6 მსოფლიოს, 2 ევროპის, 18 საკავშირო და 34 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. მან თქვა, რომ ჰყავთ მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები. განსაკუთრებით აქო მოჭიდავე ლ. თედიაშვილი, ტანმოვარჯიშე ნ. დრონოვა, ძალოსნები დ. შანიძე, რ. ტარკილი და სხვები.

„განთიადის“ კოლექტივებში, — განაგრძობს მომხსენებელი, — ნაკრებ გუნდებსა და სექციებში სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას ისიც ადასტურებს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა წლეულს ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ მიღწეულით არ დაკმაყოფილდებით. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოზარდთა სპორტის განვითარებას. ამ მიზნით ცენტრალურ საბჭოში დაისახა ღონისძიება, რომელიც ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების გახსნას ითვალისწინებს ჭიდაობის ყველა სახეობაში, კრივში, ძალოსნობაში; ამაღლდება ნაკრებ გუნდებთან მუშაობის დონე, გაფართოვდება მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო იმ ხარვეზების მხილებას, რომლებიც „განთიადის“ ფიზკულტურული კოლექტივების, ნაკრები გუნდების, რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება. ითქვა, რომ განთიადელ სპორტსმენთა წლევანდელ წარმატებებში, სამწუხაროდ, მცირეა ადგილობრივი საბჭოების წვლილი. საქართველოს სპორტულ დელეგაციაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის სარბიელზე აფხაზეთიდან გამოდიოდა 5 განთიადელი, რომლებმაც 7 ქულა მოგვცეს, რუსთავის ორმა სპორტსმენმა 2 ქულა დაიმსახურა, აჭარის სამმა სპორტსმენმა — 11,5 ქულა... ამ საბჭოებში კი სასწავლო-სპორტული საქმიანობის სათანადოდ წარმართვისთვის საკმაო ბიუჯეტი აქვთ საქალაქო და საოლქო საბჭოების ხელმძღვანელები თავიანთი სპორტსმენების ბედით ხათანადოდ არ არიან დაინტერესებული, სწორედ ამიტომ იყო რომ სოხუმელი ძალოსანი რ. ტარკილი სპარტაკიადისთვის სათანადოდ ვერ მოემზადა.

ადგილებზე სათანადო დონეზე არ დგას მწვრთნელთა საქმიანობისადმი კონტროლი, სასწავლო-სპორტული საქმიანობისთვის განკუთვნილი სახსრები არადანიშნულებისამებრ იხარჯება, წვრთნისთვის შექმნილ პირობებს ზოგგან სათანადოდ ვერ იყენებენ. ამის მაგალითად მომხსენებელმა ისევ „განთიადის“ აფხაზეთის საბჭო დაასახელა. აფხაზეთში ყოველწლიურად ეწყობა სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. ნაკრების მწვრთნელები უარს არასოდეს იტყვიან, რომ აფხაზეთის სპორტსმენებს დაეხმარონ, მაგრამ „განთიადის“ საოლქო საბჭოში საამისოდ თავს არ იწუხებენ. ამიტომაც არ ჰყავთ აქ მაღალი კვალიფიკაციის ველოსიპედისტები. ასეთივე მდგომარეობაშია ნიჩბოსნობა. „განთიადის“ სანიჩბოსნო სადგური მოუვლელია. სხვა ორგანიზაციების ინვენტარიც აქაა შენახული, თუმცა ადგილი საკუთარი აფრიანი და სხვა ნავებისთვისაც არ ჰყოფნით.

ქუთაისის საქალაქო საბჭოში მუშაობა გაუარესდა. შარშან აქ სპორტის რომელიმე სახეობის მდგომარეობაზე, მწვრთნელთა საქმიანობაზე, ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგებზე ერთხელაც არ უმსჯელიათ. სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული 42 შეჯიბრებიდან მხოლოდ 11 ჩატარდა, მაისიდან კი არც ერთი ასპარეზობა არ გამართულა. 1969 წლის შემდეგ ძალოსნობაში, მძლეოსნობაში და ცურვაში საქალაქო რეკორდების ცხრილში ერთი შესწორებაც არ შეუტანიათ. საქართველოს სპარტაკიადაში ქუთაისის 42 განთიადელი სპორტსმენი გამოდიოდა. ქალაქის დელეგაციის მიერ მოგროვილი 963 ქულიდან განთიადელებზე მხოლოდ 53 მოდის.

მომხსენებელმა ილაპარაკა მძლეოსნობაში ჩამორჩენის მიზეზებზე. მან აღნიშნა, რომ ამ სახეობაში ბოლო ორი წლის მანძილზე სპორტის ოსტატობის ნორმატივი არც ერთ განთიადელს არ შეუსრულებია. გააკრიტიკა სპორტული კლუბების „ფეიქრის“, „ივერიის“, „გამარჯვების“, „კოლხიდის“ მუშაობა მძლეოსნობის განვითარებისთვის.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რესპუბლიკის პროფკავშირების დარგობრივი სპარტაკიადების ჯამართვას, პროფკავშირთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის სამზადისს და, განსაკუთრებით, XX ოლიმპიადისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა მომზადების საკითხებს. ითქვა, რომ სადღეისოდ მიუნხენის ოლიმპიადისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები არიან შანიძე, თედიაშვილი, დრონოვა, დელა-როსა და მატოიანი. მეხიკოს ოლიმპიადაში კი მხოლოდ 2 განთიადელი მონაწილეობდა (შანიძე და დელა-როსა).

ოლიმპიადისთვის სამზადისში პირველხარისხოვან ბაზებს დიდი მნიშვნელობა რომ აქვს, მომხსენებელს არც ეს დავიწყებია. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ბაზის მშენებლობა გაჭიანურდა. მაგალითად, საშველი არ დაადგა ცენტრალურ საბჭოსთან სპორტული თარბაზების კომპლექსის [illegible] სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის აუზზე ვარჯიშის ელემენტარული პირობებიც არა აქვთ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის აუზში წყლის გათბობა ვერ მოგვარდა...

კამათში მონაწილეობდნენ „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე მ. ტურაბელიძე, ცენტრალური საბჭოს ცურვის სპორტსკოლის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე ლ. ვეჩხაიშერი, „განთიადის“ ჭიათურის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე, „განთიადის“ რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ი. ბურჭულაძე, სპორტკლუბ „კოლხიდის“ მწვრთნელი ძალოსნობაში ი. კუპუხიძე, ბათუმის მოცურავეთა მწვრთნელი ზ. კალანდაძე.

მათ ილაპარაკეს ბაზების სიმცირეზე, ხარისხიანი სპორტული ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის უკმარობაზე, სასწავლო სპორტულ მუშაობაში არსებულ მიღწევა-ნაკლოვანებებზე. ისიც ითქვა, რომ ქუთაისში არ კმარა ნიჩბოსნობის, კრივის, ხუთჭიდის ინვენტარი, ჭიათურაში № 14 სამკერვალო ფაბრიკას ფიზკულტურის მეთოდისტი არ ჰყავს...

პლენუმის მუშაობა შეაჯამა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ, რომელმაც გააკრიტიკა „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო, აჭარისა და აფხაზეთის საოლქო საბჭოები. მან თქვა, რომ ბათუმის „განთიადის“ აუზში სხვა საზოგადოებების სპორტსმენები მეტს ვარჯიშობენ, ვიდრე თვითონ განთიადელები, გააკრიტიკა პროფკავშირთა იმ დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებიც ფიზკულტურასა და სპორტს სათანადოდ არ აფასებენ.

პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიება.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

# მსოფლიო ჩემპიონი კომბინატში მუშაობს

უკვე ორი წელია ლევან თედიაშვილი თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადში“, მზა პროდუქციის საამქროში მუშაობს. გასულ ზაფხულს, აგვისტოში, მან შვებულება ითხოვა და... სოფიას გაემგზავრა, რათა შინ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ჩამოეტანა. იგი პირველი მსოფლიო ჩემპიონია თავის საწარმოში.

საავეჯო კომბინატში 1150 კაცი შრომობს და მათგან ყოველი მეორე ფიზკულტურელია. განსაკუთრებით კარგადაა საქმე ტურიზმში. სექციაში 400 კაცია გაერთიანებული და ყველას აქვს „სსრ კავშირის ტურისტის“ სამკერდე ნიშანი. ამ სახეობის ენთუზიასტები არიან საამქროს უფროსები თ. მაისურაძე, შ. სეროპოვი, მუშები რ. ჩარგეიშვილი, ზ. ჭელიძე, ვ. გელაშვილი. შარშან საწარმოს ტურისტთა მეორე შეკრება ჩატარდა ჩარგლის მიდამოებში. იქვე მოეწყო მსროლელთა, მძლეოსანთა, მოჭადრაკეთა შეჯიბრებები. ტურიზმის სექციის შექმნის თაოსანი და ხელმძღვანელია ფიზკულტურის ინსტრუქტორი ალექსანდრე ტიმოფეევი. იგი 30 წელია სპორტს ემსახურება. აქ ამ ათიოდე წლის წინათ დაიწყო მუშაობა. თავიდან ძალიან უჭირდა, ახლა კი მისი მონდომებული შრომის ნაყოფი თვალნათლივ ჩანს.

საწარმოში 18 კომუნისტური შრომის ბრიგადაა და მათგან ბევრი სპორტულია. მაგალითად, ხის ბურბუშელის ფილების საამქროს ზეინკალთა ბრიგადა (ბრიგადირია ყოფილი მოკრივე ვ. კრასიუკი) სამართლიანად ამაყობს ვასილ კურმაევით. ეს 24 წლის ჭაბუკი მეორეთანრიგოსანია ექვს სახეობაში. კომბინატში კურმაევი 1966 წლიდან მუშაობს. არმიაშიც იმსახურა და ისევ მშობლიურ კოლექტივს დაუბრუნდა. სამსახურშიც მოწინავეა, ოქროს ხელი აქვს — ყველაზე მაღალი, მეექვსე თანრიგი მიანიჭეს.

მეორე ამწყობ საამქროს სპორტულს ეძახიან (საამქროს უფროსი ო. ნიჟარაძე, სხვათა შორის, კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს წევრია). ამ საამქროს 80 მუშა-მოსამსახურიდან 60 პროცენტი ფიზკულტურელია. სპორტის ოსტატობის კანდიდატები არიან თ. ჩხაიძე, თ. სოხიშვილი, გ. ჯარჯიმანოვი.

კომბინატში ჰყავთ კარგი მოთხილამურეები, მოკრივეები, ხელბურთელები, ჰყავთ მთელი სპორტული ოჯახებიც კი. მაგალითად, სამანქანო-დამამზადებელი საამქროს მუშაკი ვ. კარაბეკოვი პირველთანრიგოსანია მაგიდის ჩოგბურთში, მისი მეუღლე კი სათხილამურო სპორტში.

საწარმოში პოპულარულია სპორტული თევზაობის სექცია, რომელსაც კლუბის გამგე ნ. ასლანიშვილი ხელმძღვანელობს. ამ სექციაში 70 კაცია გაერთიანებული და შეჯიბრებებსაც ხშირად ატარებენ.

კომბინატის ფიზკულტურელები ხშირად გამოდიან სარბიელზე. მაგალითად, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1970 წლის სპარტაკიადაში მათ I ადგილი დაიკავეს (პროგრამაში 9 სახეობა შედიოდა). შარშან მაგიდის ჩოგბურთელები 26 კომისრის რაიონის ჩემპიონები გახდნენ. მოთხილამურეები მუდამ II ადგილზე არიან „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობებში (სხვათა შორის, კომბინატი ფიზკულტურული მუშაობით ამ საზოგადოების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება). ამ წარმატებებისთვის კომბინატის დირექტორს პ. დუნდუას და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს, ზეინკალ ა. დილმელაშვილს „პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების აქტივისტის“ სამკერდე ნიშნები გადაეცათ, ფიზკულტურის ინსტრუქტორი კი „სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის ფრიადოსნის“ სამკერდე ნიშანზეა წარდგენილი.

წლეულს კომბინატს სპორტდარბაზი ექნება. იქ იმეცადინებენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, რომელთაგან ხუთი უკვე სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრია, აგრეთვე, ტანმოვარჯიშეები.

განზრახული აქვთ ზედაზნის მიდამოებში ჯანმრთელობის ზონა გახსნან.

ახლა კი ერთი გადასაწყვეტი საკითხიც: ამ ორი წლის წინ პირდაპირ კომბინატთან ფასიანი ავტოსადგომი მოაწყვეს. როგორც ცნობილია, სახანძრო ინსტრუქციის თანახმად, ნებისმიერი წერტილი კომბინატისგან 25 მეტრით მაინც უნდა იყოს დაცილებული. იქნებ დროა ამ საქმეში სათანადო ორგანიზაციებს ჩაერიონ და ეს ადგილი სპორტსმენებს დაუთმონ?

• • •

ამჟამად კომბინატში პრაქტიკას ამთავრებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელები — თავისუფალი სტილის მოჭიდავე გ. ბენაშვილი, აკრობატი ა. ბესთაევი, ხელბურთელი გ. დათუნაშვილი და სხვ. მათ აქ კარგი გამოცდილება შეიძინეს და დიდი მადლობელიც არიან ფიზკულტურის ინსტრუქტორ ა. ტიმოფეევისა. ასეთი ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა საერთო საქმის წარმატებას უწყობს ხელს.

ვ. ბუხაიძე.

• • •

სურათებზე: ტურისტთა შეჯიბრების მომენტი; სარბიელზე მსროლელები არიან.

ა. ბასინოვის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# სტატისტიკის სამყაროში

როგორც მუდამ, განვლილი საფეხბურთო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელებისთვის საიუბილეო იყო.

კიევის „დინამომ“, ჩემპიონატის უმაღლეს საფეხურზე ასვლისა და ცალკეული პრიზების მოპოვების გარდა, ორი იუბილე იზეიმა: 1 ივლისს მინსკის „დინამოსთან“ შეხვედრაში ა. პუზაჩმა გაიტანა ბურთი, რომელიც კიეველთათვის 1300-ე იყო სსრ კავშირის პირველობათა ისტორიაში. იმავე მინსკელებთან მეორე წრის შეხვედრა 6 სექტემბერს უკრაინელებმა ანგარიშით 3:0 მოიგეს და მე-1000 ქულა მიიღეს.

28 სექტემბერს არარატელებმა ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ შეხვედრაში თავიანთი მეოთხასე მატჩის იუბილე იზეიმეს.

მოსკოვის „დინამომ“ 25 აპრილს ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა, რომელიც მე-200 ფრე იყო მისთვის. ამავე მატჩში მცველის ა. შულეჟენკოს მიერ გატანილი ბურთი მე-800 იყო დინამოელთა კარში 33 ჩემპიონატის მანძილზე. სამაგიეროდ, 22 აგვისტოს დონეცკის „შახტიორთან“ ბელოუსოვის გოლმა საკუთარ კარში, „დინამოს“ აქტივი 1700-მდე აიყვანა. ეს ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია უმაღლეს ჯგუფში მონაწილე გუნდებისთვის.

მოსკოვის „სპარტაკმა“ 20 მაისს თავის მინდორზე კიევის „დინამოსთან“ მარცხი იწვნია — 0:2. ეს სპარტაკელთა მე-200 წაგება იყო საკავშირო ჩემპიონატებში.

ალმა-ათის „ყაირათმა“ 18 აგვისტოს ცსკა-სთან მოგებით თავისი გამარჯვებათა აქტივი 100-მდე აიყვანა, გარდა ამისა, წლის ბოლოსთვის 300 ქულა დააგროვა.

ცსკა-მ წლევანდელ ჩემპიონატში წარუმატებლად გამოსვლის გარდა, 28 აგვისტოს „ზარიასთან“ (1:2) მე-200 წაგება, ხოლო როსტოველ თანაკლუბელებთან (0:0) — მე-200 ფრე ჩაიწერა თავის მატიანეში.

როსტოვის ასკ-მა ორი იუბილე აღნიშნა და ორივე „ზარიასთან“. 5 ივლისს — მე-400 მატჩი ითამაშა უმაღლეს ლიგაში, ხოლო 15 სექტემბერს (მოიგო — 3:1) მე-500 ბურთი გაუშვა.

ლენინგრადის „ზენიტმა“ 12 აპრილს ტაშკენტში ადგილობრივ „ფახტაქორთან“ გოლი გაუშვა, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშის ისტორიაში 1200-ე გამოდგა.

იუბილე იზეიმეს ცალკეულმა ფეხბურთელებმაც: მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანმა გ. ჰუსაინოვმა 24 აპრილს 110-ე გოლი გაიტანა, ხოლო ერევნელი ე. მარქაროვი 102 გატანილი ბურთით გ. ფედოტოვის კლუბის წევრი გახდა. ბაქოელმა ვ. სემიგლაზოვმა უმაღლეს ლიგაში 304-ე მატჩი ითამაშა, „ზენიტის“ მეკარე ე. შაპოვალენკომ წლეულს ერთადერთი შეხვედრა წააგო და ისიც საიუბილეო, მე-200 იყო. 200-200 მატჩი აქვთ ნათამაშევი ლენინგრადელ პ. სადირინს და ტორპედოელ ვ. ბანიკოვს.

150-მატჩიანი ზღვარი გადალახეს ნ. კაზარიანმა და ფ. აბრამიანმა („არარატი“), ა. პუზაჩმა (კიევის „დინამო“), მ. ევრიუჟიხინმა, ვ. კოზლოვმა, ვ. ზიკოვმა (მოსკოვის „დინამო“), ზ. ებრალიძემ (თბილისის „დინამო“), ი. ისტომინმა (ასკ), მ. გერშკოვიჩმა (მოსკოვის „ტორპედო“), ა. ბანიშევსკიმ („ნევთჩი“).

100 და მეტ მატჩში გამოვიდნენ რ. იუმაკულოვი, ი. სტეკოლნიკოვი, ნ. სმოლნიკოვი (ყველანი — „ნევთჩი“), ა. მასლიაევი (ცსკა), გ. იანეცი (მოსკოვის „ტორპედო“), ნ. კისელიოვი („სპარტაკი“), ა. ტკაჩენკო („ზარია“), გ. გავაშელი (თბილისის „დინამო“) და სხვ.

ჯ. მეძღლიშვილი.

## „დნეპრის“ მეორე მატჩი

ბონი, 3 იანვარი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავისი ტურნეს მეორე მატჩში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელთა გუნდმა ვერ შეინარჩუნა უპირატესობა „ოსნაბრიუკთან“ — 1:1.

დნეპროპეტროვსკელები ორივე ტაიმში მწვავედ უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ბურთი მხოლოდ 58-ე წუთზე გაიტანა ლიაბიკმა. და აი, მსაჯის საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ფედორენკომ თავის საჯარიმო მოედანზე წესი დაარღვია და მასპინძელმა კოხმა ზუსტად გამოიყენა პენალტი.

## სტარტზე არიან სპეციალისტები

ბურიატეთის ჯიდინსკის აიმაკის სპეციალური სპარტაკიადის სტარტზე სოფლის სპეციალისტები — აგრონომები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ვეტერინარები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები გამოვიდნენ. კოლმეურნეები სადღა იყვნენ? საქმე ისაა, რომ მათი შეჯიბრება უკვე დამთავრდა, სპეციალისტებმა კი მაშინ დრო ვერ გამონახეს წვრთნისა და ასპარეზობისთვის. ყველა მათგანს ინსტიტუტი ან ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, ყველა აქტიურად მეცადინეობდა სპორტში, მაგრამ სოფლად სეზონური სამუშაოა და სწორედ მაშინ იყვნენ ძალიან დატვირთული.

სსრ კავშირის ორმა სპორტის ოსტატმა — ვ. გარმაევმა და ა. ბუდუნოვმა — პარტიის რაიკომის განყოფილების გამგემ და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გადაწყვიტეს, რომ სოფლის მეურნეობის მესვეურები არ უნდა ჩამორჩებოდნენ რაიონის სპორტულ ცხოვრებას. სწორედ მათი თაოსნობით მოეწყო გვიან შემოდგომით სპეციალისტთა სპარტაკიადა. შეჯიბრება მშვენიერი გამოვიდა — ბურიატულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, სიმძიმეების აწევაში, ჭადრაკში, ბაგირის გადაძალვასა და კომბინირებულ ესტაფეტაში. პრიზებისთვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რვა გუნდი იბრძოდა.

უძლიერესი ნაკრები აღმოჩნდა დ. ბანზაროვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი. ყველაზე ტექნიკური ფრენბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი ამ კოლმეურნეობის პარტკომის მდივანს ნ. ბუჟინაევს ხვდა. მასთან ერთად თამაშობდნენ ვეტერინარი ექიმი, ეკონომისტი, ზოოტექნიკოსი, აგრონომი, კომორგი.

სპეციალისტთა სპარტაკიადამ ბევრი გულშემატკივარი მიიზიდა. სოფლის მშრომელები კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს თავიანთი ამხანაგების ასპარეზობას, მხურვალე ტაშით ხვდებოდნენ მათს წარმატებას სპორტულ მოედნებზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ სურხარბანზე — ბურიატთა ტრადიციულ საზაფხულო ზეიმზე.

ამიერიდან სოფლის სპეციალისტთა სპარტაკიადა ყოველ წელიწადს ჩატარდება.

ი. ბუდაევი.

ულან-უდე.

## რა არის „აუტომი“

ტარტუს ქუჩებში მსუბუქი მანქანების ვეებერთელა კოლონა დადიოდა. „მოსკვიჩებს“, „ზაპოროჟეცებს“, „ვოლგებს“ გვერდს უმშვენებდნენ საავტომობილო საუკუნის პიონერები — „სიტროენები“, „პაკარდები“, „ფორდები“. ზოგიერთ ვეტერანს ბორბლებზე... ხის მანები ჰქონდა შემოკრული. კოლონაში იყო მოყვარული ოსტატების ხელით გაკეთებული ავტომანქანებიც.

საბჭოთა კავშირში ერთადერთი ამგვარი კლუბის — „აუტომის“ შეკრება მარშ-ალლუმით დაიწყო. ეს კლუბი, რომელიც ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოსთან შეიქმნა, თავის რიგებში აერთიანებს ავტო და მოტოტურიზმის მოყვარულებს ესტონეთის ყველა კუთხიდან.

შეკრების მონაწილეებმა საინტერესო გამოფენა მოაწყვეს. აქ წარმოდგენილი იყო დღევანდელი გაგებით ადამ და ევასდროინდელი ძრავები, ავტომობილის ხის ბორბლები. აქვე შეგეძლოთ გენახათ მართვის უფლება, გაცემული... ჩვენი საუკუნის დამდეგს. ტარტუელებს განზრახული აქვთ საავტომობილო მუზეუმი მოაწყონ.

— „აუტომის“ მიზანი რესპუბლიკის ავტოტურისტთა გაერთიანებაა, — თქვა კლუბის თავმჯდომარემ ტინუ ნოინიმ. — ეს საშუალებას მოგვცემს უფრო თავიანად წარვმართოთ ავტომოყვარულთა დასვენება. რაც მთავარია, კლუბის წევრები დიდ საზოგადოებრივ შრომას ეწევიან: ეხმარებიან ავტოინსპექციის მუშაკებს ტექნიკური დათვალიერების მოწყობაში. მათი უმეტესობა აქტიური საზოგადოებრივი ავტოინსპექტორია. „აუტომი“ ატარებს მეცადინეობებს მანქანის მართვის თეორიისა და პრაქტიკის, ქუჩაში მოძრაობის წესების შესასწავლად, აწყობს რალის.

უახლოეს ხანში განმტკიცდება კლუბის მატერიალური ბაზა: განზრახულია ნარვაში აიგოს დიდი გარაჟი, ტარტუში კი აშენდება კლუბი პროფილაქტორიუმით, გარაჟით, სადგომი ასი მანქანისთვის. აქ შეიძლება ავტოტურისტებიც გაჩერდნენ.

ბ. იასტრებოვი.

ტარტუ.

## ხუთი დების სპარტაკიადა

კაუნასი. კაუნასის რაიონის ხუთი დების ტრადიციულმა საახალწლო სპარტაკიადამ 200 სპორტის მოყვარულს მოუყარა თავი. შეჯიბრება აპილინკის სასოფლო საბჭოს დარბაზში ჩატარდა. 1971 წლის თასი დაბა კაჩერგინეს გუნდმა მოიპოვა.

ეს სპარტაკიადა სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ გუნდების ღირსებას უფროსი ასაკის ხალხი იცავს — მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დიასახლისები. მოსწავლეები და თანრიგოსნები შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ.

ასპარეზობა ყოველწლიურად ტარდება ხუთ სახეობაში — კალათბურთში (ვაჟები), ფრენბურთში (ქალები), სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში.

# ვის გაუძლებს „დედოფალი“?

● მიუნჰენის ოლიმპიადის პირველ სტარტამდე 234 დღე დარჩა ●

რაც შეეხება ათეულში ადგილებისთვის ბრძოლას, აქ აშშ-სა და სსრ კავშირს 3-3 ადგილი აქვთ, მაგრამ უპირატესობა მაინც ამერიკელთა მხარეზეა. მატცდორფის, ბრაუნისა (221 სმ) და დობროტის (220) მიერ გადალახულ სიმაღლეთა ჯამი ახმეტოვის (223), შაპკასა (222) და ბუდალოვის (220) ჯამს რომ შევადაროთ, ამერიკელებს 5 სანტიმეტრით უკეთესი მაჩვენებელი ექნებათ. ამიტომ მიუნჰენში მედლებისთვის ბრძოლაც ძირითადად ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის უნდა გაიმართოს, თუმცა მედლის დასაკუთრების კარგი შანსები აქვთ საუკეთესო ათეულის სხვა წევრებს — უნგრელ მაიორს (წლეულს — 223 სმ), იაპონელ ტომისავას, შვედ დალგრენს, დასავლეთგერმანელ მეგერლის, რუმინელ დოჟას და ჩეხ მორავეცს.

„სპორტის დედოფლის“ ბევრ მოყვარულს ალბათ ჯერ კიდევ ახსოვს, რომ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ყველაზე სენსაციური შედეგი გახლდათ სიგრძეზე ხტომაში ამერიკელი რ. ბიმონის მსოფლიო რეკორდი — 890 სმ. მას შემდეგ სამმა წელმა განვლო, მაგრამ ამ შედეგს ვერარავინ მიუახლოვდა, თუმცა „რვამეტრიანთა კლუბის“ წევრი ათობით სპორტსმენი გახდა. მიუნჰენში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ყველას გაუჭირდება, ვინაიდან მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქი ზღვის დონიდან მეხიკოზე გაცილებით დაბლაა (მეხიკოს რეკორდებს ხტომებში სწორედ ამით ხსნიდნენ).

მაგრამ ერთი ცხადია: ამერიკელებს, რომლებმაც ბოლო ხუთ ოლიმპიადაში ოქროს 4 და ამდენივე სხვა მედალი დაისაკუთრეს, პოზიციების დათმობა არ სურთ. ამას საუკეთესოთა ათეულის სია ცხადყოფს. სიაში ამ ქვეყნის ექვსი სპორტსმენია წარმოდგენილი, თანაც, I და II ადგილები კოლმენსა (825 სმ) და ცეიტს (823) უკავიათ. დანარჩენ ოთხ ადგილს ფრანგი პანი (815 სმ; III ადგილი), პოლონელი კობუშევსკი (812; VI), დასავლეთგერმანელები შვარცი (807; VIII) და ბაუმგარტნერი (805; IX) იყოფენ.

სსრ კავშირის ათლეტებს სამხტომსა და ჭოკით ხტომაში უკეთესი მდგომარეობა აქვთ. მართალია, სოხუმელი სპორტის დამსახურებული ოსტატის სანეევის მიერ მეხიკოში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (17,39 მ) კუბელმა პერესმა წლეულს სანტიმეტრით გააუმჯობესა და ათეულის სათავეში მოექცა, მაგრამ სანეევი მაინც სეზონის საუკეთესო სამხტომელად რჩება. პერესისა და სანეევის გარდა წლეულს 17 მეტრს იქით მხოლოდ რუმინელი კორბუ (17,12) გადახტა. ეს სამეული მომავალ ოლიმპიადაში მედლების ნაღდი კანდიდატია, ოქროს მედალს კი ისევ სანეევს უწინასწარმეტყველებენ. მაგრამ გამორიცხული არც ის გახლავთ, რომ მათს დავაში ჩაერიონ დრემელი (გდრ), პრუდენსიო (ბრაზილია) ან სხვა ვინმე. პრუდენსიო ხომ მეხიკოში II ადგილზე იყო.



რაც შეეხება ჭოკით ხტომას, წინა ოლიმპიადის პრიზიორთაგან ბოლო სეზონის საუკეთესოთა სიაში ვხედავთ მხოლოდ ნორდვიგს (გდრ), რომელმაც მეხიკოში ნაჩვენები შედეგი (540 სმ) გაიმეორა და 3 სანტიმეტრით ჩამორჩება იზაქსონს (შვეცია). წლეულს მსოფლიოში მესამე შედეგი ჰქონდა ახალგაზრდა სვერდლოვსკელ მძლეოსანს ისაკოვს (536 სმ — სსრ კავშირის რეკორდი), მეოთხე — მსოფლიო რეკორდსმენს, ბერძენ პაპანიკოლაუს (535). ამერიკელებს რობერტსსა (534) და ჯონსონს (533) მხოლოდ V და VI ადგილები უკავიათ.

მიუნჰენში ანგარიშგასაწევი იქნება იტალიელი დიონისი (530 სმ), რომელიც ბოლო სეზონში დაწინაურდა და ახლა მსოფლიო ელიტაში VII ადგილზეა.

ოლიმპიური მძლეოსნობის დანარჩენ შვიდ სახეობაში (ეს ესტაფეტებს არ ეხება) ამერიკელებს წარმატების მოპოვება ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში შეუძლიათ, თუმცა აქ ყველაფერი რიგზე როდი აქვთ. ბირთვის კვრაში სარბიელს არ ტოვებს მსოფლიო რეკორდსმენი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლისა და მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი მათსონი. იგი მიუნჰენისთვისაც ენერგიულად ემზადება — წლეულს 20,93 მ აჩვენა, მაგრამ ბოლო სეზონში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს როტენბურგსა (21,12) და ბრიზენიკს (21,08) ვერაფერი მოუხერხა. საგრძნობლად დაწინაურდა მეორე ამერიკელი ფოიერბახი (სეზონში მეოთხე შედეგი). სსრ კავშირის რეკორდსმენს, ლენინგრადელ ვოიკინს წლეულს მეცხრე შედეგი ჰქონდა, მაგრამ, თუ ვივარაუდებთ მის შრომისმოყვარეობას, მიუნჰენში ამ ათლეტს მედლის მოპოვების იმედი უნდა ჰქონდეს. პოზიციებს არც ვეტერანები — პოლონელი კომარი და უნგრელი ვარიუ თმობენ.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, უროს ტყორცნაში, მედლებს სსრ კავშირისა (გამსკი — 75,78 მ, ბონდარჩუკი — 74,60) და გფრ-ის (შმიდტი — 76,40, მაიერი — 74,90), შუბის ტყორცნაში ასევე სსრ კავშირისა (ლუსისი — 90,68, დონინში — 89,32) და ფინეთის (სიტონენი — 88,42 და კინუნენი — 87,78 მ) წარმომადგენლები გაინაწილებენ. ამერიკელებს ამ სახეობებში, ისევე როგორც ათჭიდში, 20 და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში არავითარი შანსები არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან სეზონის შედეგების მიხედვით შედგენილ მსოფლიოს 10 საუკეთესოს სიებში წარმომადგენლები არ ჰყავთ. ეს ამერიკელებმაც კარგად იციან, ამიტომაც იყო, რომ ამ ქვეყანაში ოლიმპიური სავარაუდო ნაკრების დაკომპლექტების საკითხი გაზაფხულისთვის გადადეს.

ათჭიდში სამივე მედალი ევროპელებს უნდა დარჩეთ, ყველაზე მეტი შანსი კი დასავლეთგერმანელებს, მეხიკოს ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორებს ბენდლინს (წლეულს — 8244 ქულა), ვოლდეს (8122), სსრ კავშირის მძლეოსნებს ივანოვს (8237), ავილოვს (8096) და გდრ-ის ათლეტს კირსტს (8206) აქვთ.

სპორტული სიარულის ორივე დისტანციაზე სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსნებს ღირსეული მოცილე არ ეყოლებათ. გერმანელები განსაკუთრებით 50 კილომეტრზე სიარულში დაწინაურდნენ. ათეულში მათ ხუთი ათლეტი ჰყავთ (ამდენივე — სსრ კავშირს). 20 კილომეტრზე სიარულში გდრ ორი მძლეოსნითაა წარმოდგენილი, სსრ კავშირი — ხუთით. 20 კილომეტრზე სიარულში სეზონის საუკეთესო შედეგი — 1:25.52,0 — ივჩენკოს (სსრ კავშირი) ეკუთვნის, 50 კილომეტრზე — სოლდატენკოს (სსრ კავშირი) — 3:59.17,8 თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დელა-როსამ ბოლო სეზონში რამდენჯერმე გამოიჩინა თავი და მსოფლიოს საუკეთესოთა ათეულში V ადგილზეა (4:05.12,6), რაც მას მიუნჰენისთვის მზადების უფლებას აძლევს.

* * *

სურათზე: პ. პერესი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 255, 257, 258 (1971 წ.).

## საჭადრაკო ინფორმაცია

### ზესტაფონი

ჭაბუკ მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობაში ორთვიანი ბრძოლის შემდეგ უძლიერესის სახელი მოიპოვა კავშირგაბმულობის მუშაკმა გ. პლახოტნიკოვმა — 14,5 ქულა 15-დან. II ადგილი დაიკავა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე გ. კამლაძემ — 14, III — მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე გ. მახათაძემ — 13,5.

• • •

ასუჯრიან შაშში ჭაბუკთა შორის ქალაქის ჩემპიონი გახდა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ბიწაძე — 12,5 ქულა 14-დან. II ადგილი ხვდა გ. პლახოტნიკოვს (11,5), III — 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე ს. წვენიაშვილს (11).

• • •

საკვალიფიკაციო ტურნირში 13 პიონერმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა ი. გალავაცკიმ (მე-4 საშუალო სკოლა) — 12 ქულა, II — თ. მესხმა (რკინიგზის მე-7 სკოლა) — 10,5. III-IV ადგილები გაიყვეს მ. ბიწაძემ (მე-2 საშუალო სკოლა) და მ. კაპანაძემ (რკინიგზის მე-7 სკოლა) — 9,5-9,5.

ა. განუგრავა.

### ცხაკაია

აქ დამთავრდა რაიონის საბჭოთა მეურნეობების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. I ადგილი დაიკავეს ძველი სენაკის წარმომადგენლებმა. II ადგილზეა კოტიანეთის ნაკრები III-IV ადგილები გაიყვეს ახალსენაკისა და ტეხურის საბჭოთა მეურნეობების გუნდებმა.

ე. გუგუნავა.

### თბილისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრისა და ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში (12 დაფაზე) გაიმარჯვა კონსერვატორიის გუნდმა — 8:4.

ი. ავალიშვილი.

# ოლიმპიადის ირგვლივ

## ჩირაღდნის პირველი ნაბიჯები



ამჟამად ოლიმპიური ჩირაღდანი საზეიმოდ დააბიჯებს იაპონიის მიწაზე. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების საზეიმო ცერემონიალს. იგი ხელთ უპყრია საბერძნეთის ეროვნული თეატრის მსახიობს მარია მოსკოლიუს, რომელმაც ჩირაღდანი აანთო მდინარე ალფეის ველზე მდებარე ზევსის ტაძრის ნანგრევებთან. 18123 იაპონელმა მორბენალმა ოლიმპიური ცეცხლით ერთ თვეში უნდა დაფაროს 4800 კილომეტრი.

## ავსტრიელთა იმედები

საპოროს ოლიმპიურ თამაშებში ავსტრიელები მთავარ იმედებს სამთომოთხილამურეებზე და ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონზე ბეატრის (ტრიქსი) შუბაზე ამყარებენ. შუბა ახალი სეზონისთვის ინტენსიურად ემზადებოდა და როგორც ნებისმიერ, ისე სავალდებულო პროგრამაში ბევრი სიახლე შეიტანა.

„უკვე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვარ, — განუცხადა შუბამ ჟურნალისტებს, — იმედი მაქვს, რომ ვარჯიშთა ახალი ნაერთები მე ახალ წარმატებებს მომიტანს, გულშემატკივრებს კი ბევრ სიამოვნებას“.

შუბას მწვრთნელს ლინჰარტს კი მიაჩნია, რომ ტრიქსის ოლიმპიური ჩემპიონის სახელის მოპოვების დიდი შანსიც აქვს.

ფიგურული ციგურაობა ავსტრიაში ბოლო წლებში ერთობ ინდივიდუალური გახდა, ყველა ერთეულთა ვარჯიშს ეტანება, წყვილთა ციგურაობაში კი ვერაფრით დააქადნიან. ავსტრიის ფიგურული ციგურაობის ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორი ოსკარ მადლი ჟურნალისტებთან ამასწინანდელ საუბარში შენიშნავდა: „ახალ სეზონში შუბას წარმატებაში ეჭვი არ მეპარება. ტრიქსი სამ უმაღლეს ტიტულს მოიპოვებს: ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი გახდება. ვაჟთა შორის ყველაზე მეტ იმედს გ. ანდერლიზე ვამყარებთ, მაგრამ ჟრა მგონია, რომ იგი მსოფლიო პირველობაში საუკეთესო ათეულში მოხვდეს. სამაგიეროდ, ეს ჭაბუკი ევროპისა და მსოფლიოს 1973 წლის ჩემპიონატებში თავის სიტყვას იტყვის, თუ, რა თქმა უნდა, წლევულს სეზონის ბოლოს (როგორც ამას შუბაც აპირებს) პროფესიონალებში არ გადავიდა. ეს ავსტრიის ფიგურული ციგურაობის ფედერაციას სამერმისოდ დამატებით სიძნელეებს შეუქმნის. რაც შეეხება წყვილებს, ყველაზე პერსპექტიულნი 14 წლის ტყუპები, ნემეცები არიან, მაგრამ მათ საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის ნაკლები გამოცდილება აქვთ“.

● ●

## ფრანგებს პროფესიონალები არ ჰყავთ

როგორც ცნობილია, 1971 წლის 5 აპრილს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე განიხილეს „ოლიმპიადის მონაწილის სამოყვარულო სტატუტის“ საკითხი და სოკ-ის წესდების 26-ე პარაგრაფში შეიტანეს შესწორებები, რომელთა დაცვა ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის სავალდებულოა. ამ ცვლილების მიზანი ისაა, რომ პროფესიონალი სპორტსმენები ოლიმპიადებში საასპარეზოდ არ დაუშვან.

ამ ცვლილებას ბევრი მიზეზი აქვს. ოლიმპიადებში პროფესიონალთა მონაწილეობას უწინაც ებრძოდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, ზოგიერთი ქვეყნის გუნდების შემადგენლობაში ხანდახან მაინც შეჰყავდათ სპორტსმენები, რომლებსაც პროფესიულ სპორტში არაერთხელ უცდიათ ძალა. ეს განსაკუთრებით ფეხბურთში, ჰოკეისა და სათხილამურო სპორტში შეინიშნებოდა. ამდენად, ბრძოლის სიმძიმის ცენტრმაც სწორედ ამ სახეობებზე გადაინაცვლა.

სოკ-ის წესდების 26-ე პარაგრაფის ახალი ფორმულირება ეროვნულ კომიტეტებს ავალებს თვითონ შეამოწმონ ეს საკითხი. ზემოთ აღნიშნული პარაგრაფის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლი ბრენდეჯისავე წინადადებით მის მეგობარს, 77 წლის ჰ. უეირს დაევალა.

სოკ-ის ამ ღონისძიებამ ბევრი ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელები აალელვა. აშშ-ს მძლეოსნობის მოყვარულთა კავშირის პრეზიდენტმა ჯ. კელიმ გულახდილად განაცხადა: ეს ღონისძიება არაფერს მოგვცემს, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატებიდან ოლიმპიადებზე მიმავალ სპორტსმენთა ორი მესამედი, როცა ოლიმპიურ ფიცს დებს, ცრუობსო“.

ბრენდეჯის ამ ღონისძიების მიზანი ნათელი გახდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასას: საფრანგეთის სამთომოთხილამურეები „თეთრ თამაშებში“ ამერიკელებს მუდამ სჯობნიან და ბრენდეჯს სურდა მათთვის ფრთები შეეკვეცა. მაგრამ საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტი მშვიდადაა, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყნის სამთომოთხილამურენი საპოროშიც კარგად გამოვლენ და იქ ახალი ჟან კლოდ-კილი ეყოლებათ. როგორც საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა მ. მარტელმა განაცხადა, იმ სამთომოთხილამურეთა შორის, რომლებიც ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავენ, არც ერთი პროფესიონალი არ არის. მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილე სპორტსმენები სოკ-ის წესდების 26-ე პარაგრაფის ყველა პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ და, მაშასადამე, საპოროს ოლიმპიადაში მონაწილეობას მათ უეირი კი არა, თვით ბრენდეჯიც ვერ აუკრძალავს.

SAPPORO'72

## დენვერის პრობლემები

საპოროს ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა, მაგრამ 1976 წლის ოლიმპიადის მასპინძლებს ახლავე ბევრი საზრუნავი აქვთ. როგორც იცით, XII „თეთრი ოლიმპიადის“ მასპინძლობა წილად ხვდა კოლორადოს შტატის (აშშ) ქალაქ დენვერს. და აი, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომაზე უამრავმა . წინააღმდეგობამ იჩინა თავი — სასტიკად გააკრიტიკეს ქალაქის ხელმძღვანელები, რომლებიც ჯერ არაფერს აკეთებენ ამ დიდი ღონისძიების ღირსეულად შეხვედრისთვის. დენვერის მერი და მისი ქვეშევრდომნი თავს იმით იმართლებენ, რომ ასპარეზობის დაწყებამდე ჯერ ოთხი წელია. საორგანიზაციო კომიტეტი შეშფოთებულია.

ბაზების, ტრასების, სასტუმროებისა და თამაშებისთვის საჭირო სხვა ნაგებობათა მშენებლობის სპეციალურმა კომისიამ საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე ისეთი წინადადებები წამოაყენა, რომ კომისიის წევრებს თმა ყალყზე დაუდგათ. კომისიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება დიდძალ სახსრებს მოითხოვს, ქალაქის ხელმძღვანელები კი შიშობენ, რომ ოლიმპიადის შემოსავალი ამ ხარჯებს ვერ დაფარავს.

განსაკუთრებით ძვირი ჯდება სათხილამურო ტრასების მოწყობა: გასაყვანია სპეციალური სამთო და სარბენი ტრასები, რისთვისაც კლდეების აფეთქება და ზვავსაშიში ზონების მოსპობაა საჭირო. დიდძალი თანხა სჭირდება დისტანციების გაფორმებას, რაც მნიშვნელოვან სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ხანგრძლივი დავის შემდეგ ყველამ დათმო. გადაწყდა ოლიმპიადისთვის ბაზების მომზადებას იაპონიიდან დაბრუნებისთანავე შეუდგნენ.



## ობიექტივში მსოფლიო

მიუნხენი. მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის აქ ბევრი სპორტული ნაგებობა აშენდა. ზოგიერთი მათგანი (სტადიონი, რამდენიმე მოედანი, საცურაო აუზი) გადახურეს ფოლადის სპეციალური ბადით, რომელზეც საგანგებო შენადნობისგან მიღებული მინის ნაჭრები დაამაგრეს. მინა ძალიან გამჭვირვალე და მტკიცეა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ფოლადის ბადეს მასზე დამაგრებული მინის ნაჭრებით 75000 კვ მ დაიკავა და 187000 „კვანძი“ აქვს. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ რთული საინჟინრო პროცესის დაწყებითს სტადიას.

ქვედა სურათზეც მიუნხენთან დაკავშირებული ამბავია აღბეჭდილი. ადგილობრივმა ჟურნალისტმა გიუნტერ პაისმა გამოიგონა, ხოლო ავსტრიულმა კომპანიამ განახორციელა სიახლე, რომელიც, შემქმნელთა აზრით, მოთხილამურე ქალთათვის მეტისმეტად საჭირო იქნება. ეს სიახლეა ფოტოზე აღბეჭდილი სახრახნისი და პომადა მოთხილამურე ქალის ხელში. პომადაც და სახრახნისიც სათხილამურო ჯოხებში მაგრდება. სახრახნისი სპორტსმენს თხილამურების სწრაფად შეკეთებაში მოეხმარება, ხოლო პომადა, ავტორის აზრით, მოთხილამურე ქალს საშუალებას მისცემს წუთითაც არ დაკარგოს მომხიბვლელობა.



შუალებას მისცემს წუთითაც არ დაკარგოს მომხიბვლელობა.

კეისტოუნ ფოტო.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.